საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 21

22/01/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე -6 მუხლის პირველი, მე-7 და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. **გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი** საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. ღია კონკურში მონაწილეთათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- ქართული ენის კარგი ცნობა,
- სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წლისა
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, კარგ დონეზე ცოდნა;

3.გამოცხადებული ვაკანტური თანამდებობის სამუშაო ფუნქციებია:

- უზრუნველყოს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება;
- ორგანიზება გაუწიოს პრეს - კონფერენციების, ბრიფინგების, ,,მრგვალი მაგიდების", ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებას;
- უზრუნველყოს საკრებულოს შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული მასალების და პუბლიკაციების ანალიზის გაკეთება;
- უზრუნველყოს საკრებულოს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების (დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები) და საჯარო ინფორმაციის (საკრებულოსა და ბიუროს აგრეთვე საკრებულოს კომისიების სხდომის ოქმების) ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;
- შეასრულოს საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს აპარატის უფროსის სამსახურებრივი დავალებები.

4.საკრებულოს საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 650 ლარს.

5.ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვეფგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ელექტრონულად კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა
წარადგინოს:
ა) განცხადება,
ბ) დიპლომისა და პირადობის მოწმობის ასლები,
გ) სამუშაო გამოცდილების დამადასურებელი დოკუმენტი

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15.

7. ღია კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
ა)კანდიდატების მიერ წარდგენილი განცხადების გადარჩევა
ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

8. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48).

სახელი გვარი
<ფაქსიმილე>
თანამდებობა__

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე